

საქართველოს სოც.



მუზეუმისა და გლეხთა მთავრობის

კანონის და განცხარგულებათა პრეგული

1927 წ.

თესციციის სასახლის კომისიონის გამოცემა

1927 წ. მარტის 20

№ 8

ეროვნული კულტურული

შ ი ნ ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

113. დადგენილება № 71 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—კერძო ტირების (სასროლო) დახურვისა და სახელმწიფო დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ მათი გასწინის წესის შესახებ.

114. დადგენილება № 72 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 83, 187¹ და 211 მუხლის შეცვლის შესახებ.

სახალხო კომისართა ხაბჭოს დადგენილებანი.

115. დადგენილება ს. კ. ს.—სახელმწიფო ნოტარიატის დებულების შევსების შესახებ.

116. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან სტატისტიკური საგეგმო კომისიის დაარსების შესახებ.

117. დადგენილება ს. კ. ს.—დროებითი სავეტერინარო მილიციის დაარსების შესახებ.

118. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობის დამსახურებელი კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობის დამსახურებელი კომიტეტის შესახებ.

119. დადგენალება ს. კ. ს.—სახელმწიფო დაწესებულებათა და საჭარ-
მოთა და კონცერატიულ ორგანიზაციათა იურისკონსულტებისა და მათი მოქმე-
დებისათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ.

120. დადგენალება ს. კ. ს.—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის
ცენტრალური სტატისტიკური სამსახურთველოს და აფხაზეთის სოც. საბჭ. რეს-
პუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიურ სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-
ისეთის ავტონომიურ ოლქში არსებული მისი ორგანოების სპეციალური სახ-
სარის შესახებ.

ცენტრალური პროგრეგის პროცეცის დადგენალებანი.

113. დადგენილება № 71 ც. პ. პ. და ს. პ. ს.

კერძო ტირების (ხასასროლო) დახურვისა და სახელმწიფო დაწესებულებათა
და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ მათი გახსნის წესის შესახებ.

რათა სასროლო საქმე სწორად იქნეს დაყენებული და სასროლო სპორტს
სისტემატიური ხელმძღვანელობა გაეწიოს ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბ-
ჭოს მიერ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭო აღეცენ:

1. აერძალოს კერძო პირებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტე-
რიტორიაზე გახსნან ტირები (სასასროლო).

2. სახელმწიფო დაწესებულებას და საზოგადოებრივ ორგანიზაციას შეუძ-
ლიან გახსნან ტირი (სასასროლო) მხოლოდ ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბ-
ჭოს ნებართვით, რომელთანაც აგრეთვე შეთანხმებულ უნდა იქნეს ტირის მოწ-
ყობის გეგმაც.

3. სახელმწიფო დაწესებულება და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რო-
მელსაც საკუთარი ტირი (სასასროლო) აქვს, ვალდებულია, ორი კვირის განმავ-
ლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, გაუკეთოს მას რეგისტრა-
ცია ფიზიკური კულტურის აღილობრივ საბჭოში; აღნიშნული ვადის გასელის
შემდეგ რეგისტრაციაში გაუტარებელი ტირი (სასასროლო), როგორც ფიზიკური
კულტურის საბჭოს სისტემატიური წელმძღვანელობის გარეშე მდგომი, დამუ-
ლება.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. სტურუა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე დ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდგომი ჭ. მათიკაშვილი.

1927 წ. ივნის 22.

რეკილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 205 №-ში 1927 წ. სექტემბრის 10.

114. დადგენილება № 72 ც. პ. და ს. ქ. ს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 83, 187² და 211 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწყვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო იდგენებ:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 83, 187² და 211 მუხლის შეცვალის შედეგნაირად:

მუხ. 83. მოსარჩელეს შეუძლიან გადაწყვეტილების გამოტანამდე, რა მდგომარეობაშიაც უნდა იყოს საქმე, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფა.

შენიშვნა. არ შეიძლება უზრუნველყოფა ისეთი სარჩელის, საკრე-

დიტო-კონკრეტული ამხანაგობის სარჩელის გარდა, რაც აღიძერის ამა თუ იმ სახელმწიფო დაწესებულებისა და სახელმწიფო საწარმოს წინააღმდეგ.

მუხ. 187. არ შეიძლება სახელმწიფო ორგანოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ შესრულება, გარდა ისეთი გადაწყვეტილებისა, რაც გამოტანილ იქნება სამუშაო ხელფასის სარჩელის გამო, იგრეთვე საკრედიტო-კონკრეტული ორგანიზაციის სარჩელისა და პროტესტების მიზანით თავსუშებელი დამყარებული სარჩელის გამო.

მუხ. 211. სასამართლო ბრძანება არ გაიცემა:

ა) უკეთუ მოთხოვნა მიმართულია სახელმწიფო დაწესებულების ან სახელმწიფო საწარმოს წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათ წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნა წარდგენილია საკრედიტო-კონკრეტული ორგანიზაციის მიერ;

ბ) უკეთუ მოთხოვნის ვადის დადგომის დღიდან ორ თვეზე მეტია გასული

გ) უკეთუ იმის გამოსარჩევებად, —აქეს თუ არა მთხოვნელს მოთხოვნის წარდგენის უფლება, საჭიროა დამატებითი დამატებიცებელი საბუთების წარდგენა;

დ) უკეთუ მოვალის პასუხისმგებლობა ცხადად არა სჩანს თვით წარდგენილი დოკუმენტების ტექსტიდან;

ე) უკეთუ იმ ვალდებულების შესრულება, რაზედაც მოთხოვნა დამყარებულია თვით დოკუმენტით დამკიდებულია ისეთ პირობებზე, რომელთა დადგომაც წინასწარ უნდა იქნეს დამტკიცებული.

შენიშვნა. სასამართლო ბრძანება სახელმწიფო ბანკის ოპერაციების გამომდინარე სარჩელის გამო გაიცემა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. სტურუა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარ-

თ საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი

1927 წ. აგვისტოს 25.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გან. „კომუნისტის“ 208 №-ში 1927 წ. სექტემბრის 14.

სახელმწიფო კომისარობა საგარენი დადგენილებანი

115. დალგვენილება ს.ქ.ს.

სახელმწიფო ნოტარიატის დებულების შევსების შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სახელმწიფო ნოტარიუსის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი დამა-

ტემა:

1. სახელმწიფო ნოტარიის დებულების პირველ მუხლს დაემატოს „ზ“
და „თ“ პუნქტები შემდეგი შინაარსისა:

პუნქტი „ზ“. „აღსრულების წარწერის გაკეთება“.

პუნქტი „თ“. „გაღლდებულების საგნის (ფულისა და ფასეულობის) დეპოზი-
ტად მიღება კუთხითილებისამებრ გადასაცემად“.

2. მე-2 მუხლს დაერთოს შემდეგი შენიშვნა:

შენიშვნა. იმ საქონლის დაგირავების ხელშეკრულება, რაც საიღმიცემო ტრიალშია, დამოწმებულ უნდა იქნეს იმ ადგილის სანოტარო კონტროლი, სადაც სავაჭრო საჭარმო მდებარეობს.

3. მექანიკური მუხლის დაერთოს შემდეგი შენიშვნა:

შენიშვნა. სანოტარო კონტორი ვალდებულია დაუბრკოლებლივ
მისცეს ყველა მსურველს ცნობა იმ საქონლის გირავნობის ხელშეკრულების
დადგების შესახებ, რაც სააღმიცემო ტრიალშია.

4. სახელმწიფო ნოტარიუსის დებულებას დაემატოს შემდეგი მუხლები:

291. ფულის გადახდევინებისათვეს ან და ქონების დაბრუნებისა და გადაცემისათვის ისეთი, სანოტარო წესით დამოწმებული, გარიგებით, რომლისთვი-
საც სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულოა, ან და პროცესტმნილი თა-
მასუქით ფულის გადახდევინებისათვეს სანოტარო კონტორა, გადამხდევინებლის
თხოვნით, გაკეთებს თამასუქება ან აქტზე აღსრულების წარწერას, რის თანახმა-
და/კ მოხდება გადახდევინება.

29². იძულებითი „შესრულება“ დამთვარებული დისპაშით, რომლის შესახებაც არ ყოფილი აღძრული დავა იმ ვადის განმავლობაში, რაც გათვალისწინებულია სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საერთო და ნაწილობრივი ივარიისა, გემთა შეჯახებით მიუწებული ზარალის ანაზღაურებისა და საზღვაო პროტესტის „შესახებ“ 1926 წ. ივლისის 27-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-18-მუხლით, მოხდება სანოტარო კონტრის მიერ გაკეთებული აღსრულების წარწერის თანახმად.

29^o. სანოტარო წესით დამოწმებულ გარიგებას აღსრულების წარწერა არ გაუკეთდება იმ შემთხვევაში: 1) უკეთუ მოთხოვნა მიქცეულ უნდა იქნეს სახელმწიფო დაწესებულებასა, სახელმწიფო საწარმოსა ან პროცესიონალურ ორგანიზაციაზე; 2) უკეთუ დღიდნ მოთხოვნის ვადის დადგომისა ორ თვეშე მეტი ხანისა განვლო; 3) უკეთუ გადახდევინების უფლების დასაღასტურებლად საჭიროა ლიმიტებითი დამამტკიცებელი საბუთების წარდგენია; 4) უკეთუ მოვალის პასუ-

ხისმგებლობა ნათლად არა სჩინს თვით წარდგენილი დოკუმენტის ტექსტიდან; 5) უკეთ იმ ვალდებულების შესრულება, რასაც მოთხოვნა ემყარება, თვით დოკუმენტში დამოკიდებულია ისეთ პირობაზე, რის დადგომაც დამტკიცებულ უნდა იქნეს.

29⁴. აღსრულების წარწერაში უნდა აღინიშნოს: а) სანოტარო კონტორის სახელწოდება, წელიწადი, თვე და რიცხვი და ნომერი რეესტრის მიხედვით; ბ) გადამხდევინებლისა და მოვალის საცხოვრებელი ადგილი; გ) დოკუმენტის სწორი სახელწოდება (მისი შესრულების დრო და ადგილი, სანოტარო კონტორის სახელწოდება, რიცხვი და ნომერი რეესტრის მიხედვით); დ) ის ვადა, რომლის განმავლობაშიაც უნდა მოხდეს ვადიანი გადასახდელის გადახდევინება (განსაზღვრულ ვადებში ნაწილობრივ გადახდევინების დროს); ე) გადასახდევინებელი თანხები ან იმ საგნების სწორი სახელწოდება, რაც მოთხოვნილ უნდა იქნეს; ვ) პროცენტი, თუ იგი ერგება გადამხდევინებელს; გ) ნოტარიუსის ხელმონაწერი და სანოტარო კონტორის ბეჭედი.

29⁵. აღსრულების წარწერა გაუკეთდება თვით სანოტარო წესით დამტკებულ გარიგებას; ხოლო, უკეთ საამისოდ საქმარისი ადგილი არ არის, წარწერა გაკეთდება ცალკე ფურცელზე, რომელიც მიჰყერდება და მიებეჭდება გარიგების ქაღალდს, მაგრამ ისე კი, რომ აღსრულების წარწერა იწყებოდეს თვით აქტზე. დოკუმენტის დედანი აღსრულების წარწერით მიეცემა გადამხდევინებელს რეესტრში შეტანის შემდეგ, ხოლო დოკუმენტისა და წარწერის ასლი დაიტოვდა სანოტარო კონტორის საქმეებში.

29⁶. აღსრულების წარწერის გაკეთება შეიძლება განსაჩიირებულ იქნეს სამ. სამ. საპრ. კოდ. წესისამებრ და სასამართლო მას განიხილავს დამტკიცებელი საბუთების შემოწმებით და მხარეთა დაბარებით. აღსრულების წარწერის განსაჩიირების ვადა გამოიანგარიშება მოვალისათვის დღიდან აღსრულების შესახებ უწყების მიღებისა, ხოლო გადამხდევინებელისათვის—დღიდან აღსრულების წარწერიანი დოკუმენტის მიღებისა ან დღიდან აღსრულების წარწერის გაკეთებაზე უარის მიღებისა.

29⁷. სამ. სამ. კოდ. 114 მუხლში აღნიშნულ შემთხვევებში მოვალეს შეუძლია მის მიერ გადასახდელი თანხები და ფასიანი ქაღალდები შეტანის საფინანსო განკუთვილებაში სანოტარო კონტორის დეპოზიტად.

29⁸. მოვალე წარუდგენს სანოტარო კონტორის წერილობითი განცხადებას-თან ერთად სატინანსო განკუთვილების ქვეთარს ვალდებულების საგნის შეტანის თაობაზე; განცხადებაში უნდა აღინიშნოს: а) შემტანის სახელწოდება და მისამართი; ბ) იმ პირის სახელწოდება, ვის სახელზედაც ვალდებულების საგანი არის შეტანილი, და აგრეთვე ის ადგილი, სადაც უკანასკნელი ცნობით აღნიშნული პირი სცხოვრობდა; გ) შეტანის საფუძველი და გამოანგარიშება; დ) ის მიზეზი, რის გამოც შეუძლებლად ხდება ვალდებულების უშუალოდ შესრულება.

29⁹. სანოტარო კონტორი შეტანის საფუძვლის შეუძლებელი წარმოდგენილ წერილობითი ვალდებულებას, უკეთ იგი იქნება, წააწერს, რომ ვალდებულების საგანი შეტანილია—ან და, უკეთ წერილობითი ვალდებულობა არ

არის, მისცემს მოწმობას დატის აღნიშვნით და ვალდებულების საგნის შეტანას განუცხადებს იმ პირს, ვისთვისაც ეს საგანი შეტანილია.

2910. როდესაც ის პირი, ვისთვისაც ეს თუ ის ვალდებულების საგნი შეტანილია, გამოცხადდება სანოტარო კონტრარაში და წარადგენს საბუთს იმის დასამტკიცებლად, რომ მას ნამდვილად აქვს უფლება მიიღოს დეპოზიტად შეტანილი საგანი, სანოტარო კონტრარა, გამოარკვევს რა ამ პირის ვინაობას, წინადადებას მისცემს საფინანსო განყოფილებას გადასცეს აღნიშვნულ პირს დეპოზიტად შეტანილი საგანი. გაცემის დროს საფინანსო განყოფილება გააკეთებს დოკუმენტზე სათანადო წარწერას.

2911. დეპოზიტად შეტანილი საგანი შეიძლება შემტანს დაუბრუნდეს კრედიტორის თანხმობით ან სასამართლოს დადგენილებით.

5. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ იმ დროიდან, როდესაც სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ომასტრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 204—209 მუხ. და 210 მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტები გაუქმებულ იქნება.

საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო

კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველი შვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომ. საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. ხ. სტეფანოვი.

1927 წ. აგვისტოს 2.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე 177 ქ-ში 1927 წ. აგვისტოს 2.

116. დადგენილება ს. ქ. ს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამ-
მართველოსთან სტატისტიკური საგეგმო კომისიის დაარსების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო
ადგენს:

1. საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან მოეწყოს მუდმივი სტატისტიკური საგეგმო კომისია ცენტრალური სტატისტიკური სამ-
მართველოს მმართველის ან მისი მოადგილის თავმჯდომარეობით.

სტატისტიკურ საგეგმო კომისიას დაეკისრება:

ა) შეადგინოს სტატისტიკურ სამუშაოთა საერთო-რესპუბლიკანური გეგმა
და თვალყური ადგენოს ამ გეგმის შესრულებას;

ბ) დაამტკიცოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისა-
რიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების მიერ და აგრეთვე რეს-

პუბლიკანური მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ სტატისტიკური მასალის შეკრებისა და შემუშავების წესი და პროგრამა;

გ) დაამტკიცოს იმ სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამა და საორგანიზაციო გეგმა, რასაც აწარმოებს მოკეთებირე აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკა, ავტონომიური აჭარისტანის სოც. საბჭ. რესპუბლიკა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი, იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული სამუშაო საერთო-რესპუბლიკანურ გეგმით გათვალისწინებული არ არის;

დ) შეიმუშაოს ყოველგვარი სტატისტიკური ოპერაციის მეთოდოლოგიური საკითხები;

ე) განიხილოს იმ სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამა და საორგანიზაციო გეგმა, რასაც საქართველოს ცენტრ. სტატისტ. სამსართველოს სექტორი აწარმოებენ, და მისცეს დასკვნა ამ პროგრამისა და გეგმის შესახებ;

ვ) განიხილოს სტატისტიკურ ორგანოთა ანგარიშები გეგმით დაკისრებულ სტატისტიკურ სამუშაოთა შესრულების შესახებ;

ზ) შეიმუშაოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბალანსია, დინამიკისა და კონიუნქტურის შესასწავლად საჭირო სამუშაოთა მეთოდოლოგიისა და ორგანიზაციის საკითხები;

თ) შეადგინოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მთლიანი ბალანსი და აგრეთვე სახალხო მეურნეობის დინამიკისა და კონიუნქტურის დარღვეში წარმოებულ სტატისტიკურ სამუშაოთა ჯუმლები;

ი) თვალური აღენოს სახალხო კომისარიატებისა და რესპუბლიკანური მნიშვნელობის სხვა დაწესებულებისა და ორგანიზაციების მიერ სტატისტიკურ სამუშაოთა გეგმის შესრულებას და აგრეთვე განიხილოს ხოლმე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის სტატისტიკურ ორგანოთა საანგარიშო ცნობები იმავე გეგმის შესრულების საქმეში;

კ) შეიმუშაოს სტატისტიკურ საერთო-რესპუბლიკანური პერსპექტიული გეგმა სახალხო მეურნეობის პერსპექტიული გეგმის მიხედვით.

2. რადგანაც მეთოდოლოგიური საკითხების შემუშავება ამა დადგენილების ძალით სტატისტიკურ საგეგმო კომისიას დაეკისრა, საქართველოს ცენტრ. სამსართველოსთან არსებული სამეცნიერო-სამეთოდოლოგიო კოლეგია გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო

კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალ-

ხო კომისართა საბჭოს საქმეთა

მართველის მოვალეობის დრ. ილმა-

სრულებელი ს. სტეპანოვი.

1927 წ. აგვისტოს 20.

ტფილისი—სასახლე

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 207 ნე-ში 1927 წ. სექტემბრის 13.

117. ଏକାନ୍ତରିକାଲୀଙ୍ଗନ ବ. ପ. ବ.

დროებითი სავეტერინარო მილიციის დაარსების შესახებ.

რქისანი საქონლის ჭირთან ბრძოლის საკარანტინო და სხვა ღონისძიებათა სასწრაფოდ განხორციელებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ორგანიზაციული კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საუწყებო მილიციის შესახებ 1925 წლის ოქტომბრის 26-ის თარიღით გამოცემული დადგნილების (საქ. სს რესპუბლიკის კანონთა კარგული 1925 წ. № 3 მუხ. 78) წესისამებრ მოწყობილ იქნეს დროებითი სავეტერინარო მილიცია სავეტერინარო ზედამხედველობის ორგანოებისა და რესაბანი საქმნელის ჭირის წინააღმდეგ მებრძოლი აღმასრულებელი კომისიების იმ დაფალებათა შესასრულებლად, რაც ჭირობის ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებას შეექცება.

2. დაევალოს მუშათა და გლეხთა მიღიცის აღგილობრივ ორგანოებს დახმარება გაუწიონ სავეტერინარო ზედამხედველობას და დროებით სავეტერინარო მიღიცის საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების საქმეში.

3. დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ფინანსთა სახალ-
ხო კომისარიატთან შეთანხმებით, განსაზღვროს სავეტერინარო მილიციის დრო-
ებითი შრატი.

4. საეკრეინარო მილიციის შესანახი ხარჯი მიეკუთნოს იმ კრედიტებს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტით გაცემულ იქნება რესანა საქონლის ჭირთან ბრძოლის საგანგებო ორნისძიებათა განხორციელებისათვის.

5. დაეგალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით ორი კვირის ვადაზე, ამა დადგენილების ვამოქვეყნების დღიდან, გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

საქართველოს სოკ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

საქართ. სოკ. საბჭ. რესპ. სახილხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდ.

ଡର. ଅଲମାସର୍ବଜ୍ଞପ୍ରେସ୍‌ରେ ବ୍ୟକ୍ତିଗତ ଉପରେ ଏହାର ନାମ ଦେଖିବା ପାଇଁ ଆବଶ୍ୟକ ନାହିଁ।

1927 წ. აგვისტოს 22.

ଓঝিলিসি—সাসাহলে

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 198 №-ში 1927 წ. სექტემბრის 2.

118. დადგენილება ს. ტ. ს.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობის დამამთავრებელი კომიტეტის
დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: დამ-
ტეიცებულ იქნეს შემდეგი დებულება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შე-
ნობის დამამთავრებელი კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თაგმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდ.
დროებით აღმასრულებელი ს. ხუფანოვი.

1927 წ. აგვისტოს 22.

ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობის დამამთავრებელი კომიტეტის
შესახებ.

1. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობის დასამთავრებლად საქარ-
თველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან მოეწყობა
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობის დამამთავრებელი განსაკუთრებუ-
ლი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები
დაინიშნებიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა სა-
ბჭოს ცალკე დადგენილებით.

2. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობის დამამთავრებელ კომი-
ტეტს დაეკისრება:

ა) ოვალური ადევნოს მუზეუმის შენობის დამთავრებისათვის წარმოებულ
მუშაობას და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ მუშაობას;

ბ) განავის მუზეუმის დასამთავრებლად გადადებული ქრედიტი;

გ) დასდოს ხელშეკრულება სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კოოპერატიულ
და კერძო საწარმოსთან და კერძო პირთან სააღმშენებლო მასალისა და მოწ-
ყობილობის მიწოდების შესახებ და აგრძელების სხვა გარი-
გება, რაც დაკავშირებული იქნება მუშაობის წარმოებასთან;

დ) შეიმუშაოს სამუშაოთა გეგმა და ხარჯთაღრიცხვა და აგრძელების სააღ-
მშენებლო მასალის მიღებისა და ჩაბარების პირობები;

ე) მიიღოს და დაითხოვოს მუშა-მოსამსახურენი შრომის კანონმდებლობის
შესების დაცვით;

ვ) გაიხსნას კრედიტი სსრ კავშირის საბანკო დაწესებულებებში იმ თანხმას ფარგლებში, რასაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიკური საბჭო განსაზღვრავს;

გ) შეიმუშაოს და განიხილოს მუშეუმის ფასადისა და აგრეთვე შენობის ნაწილობრივი რეკონსტრუქციის პროექტები და წარუდგინოს ისინი დასამტკიცებლად საქართველოს ეკონომიკურ საბჭოს;

თ) მოიწვიოს ექსპერტები კონსულტაციისათვის;

ი) შეიმუშაოს და დამტკიცის ინსტრუქციები სამუშაოთა მწარმოებელი-სათვის და აგრეთვე ამა დებულების მე-3 მუხლში გათვალისწინებული კომისიებისათვის.

3. მე-2 მუხლში აღნიშნული მოვალეობის შესასრულებლად საქართველოს სახელმწიფო მუშეუმის შენობის დამამთავრებელ კომიტეტს უფლება აქვს მოაწყოს, თავისი შეხედულებისამებრ, სპეციალური კომისიები.

4. სამუშაოთა მწარმოებელის თანამდებობა და აგრეთვე სხვა საპასუხის-მგებლო თანამდებობა საქართველოს სახელმწიფო მუშეუმის შენობის დამამთავრებელ კომიტეტში ამ უკანასკნელის დადგენილებით უნდა იქნეს დაპერილი.

5. ყოველგვარ ხელშეკრულებას, ვალდებულებას, თამასუქს, ჩეკს და ფულადი ხასიათის სხვა დოკუმენტს კომიტეტის სახელით ხელს მოწერს კომიტეტის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე; ფულადი ხასიათის დოკუმენტს ამასთანავე ხელის მოწერით დაადასტურებს კომიტეტის ბუხბალტერი.

6. საქართველოს სახელმწიფო მუშეუმის შენობის დამამთავრებელი კომიტეტი თავის მოქმედების ანგარიშს პერიოდულად წარუდგენს ხოლმე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიკურ საბჭოს, ხოლო დაკისრებული მოვალეობის მთლად შესრულებისას წარადგენს საქართო ანგარიშს.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 206 №-ში 1927 წ. სექტემბრის 11.

119. დადგენილება ს. პ. ს.

სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და კოოპარატიულ ორგანიზაციათა იურისკონსულტებისა და მათი მოქმედებისათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ.

საქართველოს სოციალისტური საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენის:

1. იურისკონსულტი სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოსი (როგორც ისეთისა, რომელიც სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე ირიცხება, აგრეთვე ისეთისაც, რომელიც სამეურნეო ანგარიშზე გადასული) და ისეთი სააქციო საზოგადოებისა (საბაზო ამხანაგობისა), სადაც სახელმწიფო კაპიტალი მეტობს, რომელიც ან მარტო სახელმწიფო კაპიტალით მოქმედობს, აგრეთვე იურისკონსულტი კოოპერატიული ორგანიზაციისა—თანამდებობაზე დაინიშნება,

თანამდებობიდან მოიხსნება და სხვა ადგილზე გადაიყენება სათანალო ჭრული დეპისა, დეპულებისა და შტატის ფარგლებში იმ თანამდებობის პირის ან დაწესებულებისა, საწარმოს თუ ორგანიზაციის ორგანოს მიერ, ვისაც იგი უშუალოდ ემორჩილება ან ვის წინაშეც იგი ანგარიშეალდებულია.

ուրիսկանեսլուղթաց 1-ըն թյելուոտ զարգալուսթինեցնեցն որգանոցքშո Շըոդ-լեցա ճանօնմնշուլ օյնեց ևս Յուրի, զուսպ սայահուցելուս ևսպ. սածք. հըսկութանոյուն յոմն բրուցուցուն տաճամաց սածքուն արհեցուս սյուլըցա այցեց, պատու թաս: ա) ան սպեցյալալուրո ուրուգուուլո զանալուցա թուլուո, թ) ան այցեց որի վնաս սերայու սա- թասլենիսմիցք թուլուուց առաջանած սակելմթուու ճանչեցնեցն ան մու- թատա ճա զլցեթա սանուցազուցիուց, թուլուց սոնալուր, թարթուուլ ու յոմացքրա- բուուլ որգանինչացուած, զ) ան ճա այցեց Յ վնաս սերայու թուլուուց սակասլեն- միցք թուլուու սածքուու օյստիցուն որգանոցքшո.

3. 1 მუხლში ონიშობულ ორგანოთა იურისკონსულტს უფლება არა აქვს დაიციროს რაიმე თანამდებობა კერძო საწარმოში. იურისკონსულტის თანამდებო- ბათა შეთავსება არ სახელმწიფო დაწესებულებაში ან საწარმოში და 1-ლი მუ- ხლით მათთან გათანაბრებულ ორგანიზაციაში შეიძლება მხოლოდ მათი ხელ- მძღვანელი ორგანიზების ნებართვით. სამეცნიერო, ლიტერატურული და სალექ- ტორო მუშაობა შეთავსებად არ ჩაითვლება. იურისკონსულტს არ შეუძლიან ერთ- სა და იმავე დროს შეასრულოს აღმინისტრობიული ფუნქციებიც იმ სახელ- მწიფო დაწესებულებაში ან საწარმოში, სადაც იგი იურისკონსულტად მსახუ- რობს. ამ წესდების გამონაკლისი შეიძლება მხოლოდ განსაკუორებულ შემთხვე- ვაში დაწესებულებისა, საწარმოთა ან ორგანიზაციის ხელმძღვანელისა ან ხელ- მძღვანელი ორგანოს ნებართვით.

4. იურისკონსულტს არ შეუძლიან იქისროს კერძმ პირის და საჭარბოს ინტერესების წარმომადგენლობა ისეთ საქმეში, რომელიც სახელმწიფო და კომპერატული დაწესებულებისა და საწარმოს წინააღმდეგ არის მიმართული.

შენიშვნა. ამა მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა არ გაფრცელდება ისეთ საქმეზე, სადაც იურისკონსულტი მშრომელის ინტერესების დასაკავად გამოიყის.

5. იურისკონსულტის ძირითად მოვალეობას შეადგენს: а) მისცეს წერილობითი და სიტყვიერი დასკვნა და ცნობა უფლებრივ საქითხების შესახებ; б) მონაწილეობა მიიღოს ინსტრუქციებისა, ცირკულარებისა, დადგენილებების და სხვ. პროცერების შედგენაში; გ) შეადგინოს და განიხილოს, იურიდიული ოვალიზაციისთ, ხელშეკრულება და უფლებრივი ხასიათის სხვა აქტი, რასაც დაწესებულება ან საწარმო დასდებს დაწესებულებისა თუ საწარმოს უფლებრივი ინტერესების დასაცავად—მომზედი კანონების მიხედვით; დ) იკასროს დაწესებულებისა, საწარმოს ან ორგანიზაციის ინტერესების წარმომადგენლობა ამ დაწესებულებისა, საწარმოს თუ ორგანიზაციის დავალებით.

6. იურისკომსულტი პასუხისმგებელია დაწესებულებისა, საწარმოს თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელისა ან ხელმძღვანელი ორგანოს წინაშე მისი მონაწილეობით დადგებული გარიგებისა ან მის მიერ წარდგენილი დადგენილებისა და სხვ. პროექტების მოქმედ კანონებთან შეუთანხმებლობისათვის.

7. 1-ლი მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა იურისკონსულტების მოქმედების კანონიერებას საერთო ზედამხედველობას გაუწევს საპროკურორო ზედამხედველობა ხელისუფლებისა და სამეურნეო ორგანოთა მოქმედების კანონიერებისათვის საერთო ზედამხედველობის გაწევის შესისამებრ.

შენიშვნა. ყოველგვარი მასალა, ამა მუხლში აღნიშნული საპროკურორო ზედამხედველობის განსახორციელებლად, პროკურატურამ უნდა გამოითხოვოს სათანადო დაწესებულების ხელმძღვანელის მეშვეობით.

8. დაწესებულებათა და საწარმოთა იურისკონსულტების პრაქტიკული მუშაობის გასაერთიანებლად და აგრეთვე ისეთი საკითხების გამოსარკვევად, რომელიც უფლებრივ მოწესრიგებას მოითხოვენ, დაარსდება თათბირები ქ. ტფილისში—რესპუბლიკის პროკურორთან, ხოლო სხვა ადგილებში—ადგილობრივ პროკურორებთან. თათბირები მოქმედობენ რესპუბლიკის პროკურორის ინსტრუქციის თანახმად.

9. მე-8 მუხლში აღნიშნული თათბირების შედეგნილობაში შედიან: а) ამა თუ იმ ადმინისტრატიული ერთეულის ფარგლებში მომქმედ, ამა დადგნილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ, ორგანოთა იურისკონსულტები; ბ) წარმომადგენელი: ქ. ტფილისში—უზენაესი სასამართლოსი, ქ. ქუთაისში—ოლქის სასამართლოსი, ხოლო ადგილობრივ—ოლქის სასამართლოს რწმუნებულნი; გ) წარმომადგენელი საარბიტრაჟ კომისიებისა, სადაც ასეთი არის, და საადგილ-მამულო სასამართლო კოდეგიებისა.

10. თათბირის გამჭებლობის საგანს შეადგენს: а) იურისკონსულტების მოსხენებათა მოსმენა მათი მოქმედებითან გამომდინარე საკითხების შესახებ, პრაქტიკაში აღძრული საკითხების გადასაწყვეტად და აგრეთვე კანონების ერთნაირად განსამარტებლად მათი შეფარდებისათვის; ბ) ყველა იმ საკითხის განხილვა, რაც იურისკონსულტების ორგანიზაციას და მოქმედებას შეეხება.

11. თავისი მიმდინარე მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაშევად თათბირი მოაწყობს ბიუროს, რომელიც შესდგება იმდენი წევრისაგან, რამდენსაც თათბირი თავისი შეხელლებისამებრ დაადგენს. ბიუროში აუცილებლად მონაწილეობას მიიღებენ საპროკურორო ზედამხედველობისა და სასამართლო ორგანების წარმომადგენელი.

12. სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს იურისკონსულტი სათანადო შემთხვევაში პასუხს აგებს დისკიპლინარული წესით, საერთო საფუძველზე, როგორც დისკიპლინარული სასამართლოებს დებულებისა, ისე დასცილინარული გადასახდელის შესახებ მომქმედი სათანადო კანონების თანახმად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კონი-
კომისარათი საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველი შვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კონი-
სართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობის
დროებით აღმარტულებელი ხ. სტეფანოვი.

1927 წ. აგვისტოს 22.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 193 №-ში 1927 წ. აგვისტოს 26-

120. დადგენილება ს. ტ. ს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამინისტროს და აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკასა, აჭარისტანის აგრძნომიურ სოც. საბჭ. რესპუბლიკასა და სამხრეთ-ოსეთის აგრძნომიურ ოლქში არსებული მიხი ორგანოების სპეციალური სახსარის შესახებ.

ა/კ სფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა წლის ივნისის 23-ს მიღებული დადგენილების (განმკარგულებელი სხდომის ოქმი № 25 პ. 13) აღსასრულებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღვენს:

1. ნება მიეცეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკურ სამმართველოს და მის ორგანოებს აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკასა, აჭარისტანის აგრძნომიურ სოც. საბჭ. რესპუბლიკასა და სამხრეთ-ოსეთის აგრძნომიურ ოლქში:

ა) იქნიონ სპეციალური სახსარი და

ბ) აწარმოონ სტატისტიკური სამუშაო და გამოსცენ სტატისტიკური მასალა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და საწარმოთა ფონდების თანაბაზე მხოლოდ იმ თანხების ხარჯით, რაც აღნიშნული გამოცემებისა და სამუშაოების შესრულებისათვის შემოვა.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული თანხა მიეცევა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკასა, აჭარისტანის აგრძნომიურ სოც. საბჭ. რესპუბლიკასა და სამხრეთ-ოსეთის აგრძნომიურ ოლქში არსებული მისი ორგანოების სპეციალურ სახსარში და დაიხსარჯება, საამისილ დადგენილი წესისამებრ, 1-ლ მუხლში გათვალისწინებულ გამოცემათა და სამუშაოთა შესასრულებლად.

3. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული თანხის ხარჯით არ უნდა იქნეს წარმოებული ისეთი სამუშაო, რომლისთვისაც საჭირო თანხა გადადებულია ნორმალური საბიუჯეტო წესით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოვალეობის დროებით აღმასრულებელი ბ. ფალავა.

1927 წ. აგვისტოს 24.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“ 197 №-ში 1927 წ. სექტემბრის 1-

ქალალდი დამზადებულია
ენგურის (სვანეთის) სოჭიდან
бумага изготовлена
из Ингурской (СВАНЕТСКОЙ) пихты.

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ ტრესტის მე-3 სტანდა.

შეკვ- 582.

გთავ. № 56.

ტირაჟი—1500.